ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1765562

ნომერი: AR1290195

თარიღი : 28.02.2015

გაცემის თარიღი : 06.03.2015

გაცნობის თარიღი : 06.03.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

სულხან ცინცაძის 12;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დავით კაკაბაძე პ/ნ 65002012448
- თბილისი მცხეთის II შეს. N 4

ორგანიზაცია:
- შპს ფუდკო კოდი: 405069125

ნომენკლატურა :

- I კლასი
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თQვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის განხილვის შედეგად გაცნობებთ, რომ ვინაიდან აღნიშნულ ობიექტზე პარალელურად ითხოვთ სარეკლამო აბრების მოწყობას საჭიროა კონდენციონერის მოწყობასთან ერთად ასევე საკითხი დააყენოთ სარეკლამო აბრების მოწყობაზე, შესაბამისად გეძლევათ შესაძლებლობა ისარგებლოთ ნომენკლატირის ცვლილების ღილაკით და არჩეულ ნომენკლატურასთან ერთად დამატებით აირჩიოთ "აბრებისა და რეკლამების განთავსება". ამას გარდა საჭიროა გაითვალისწინოთ და წარმოადგინოთ შემდეგი:

- ველში "არსებული სიტუაციის ფოტოსურათები"-ს აიტვირთოს კარგი ხარისხის ფერადი ფოტომასალა გადაღებული რამოდენიმე რაკურსიდან.
- ველში "ფოტომონტაჟი" აიტვირთოს განახლებულ ფოტოსურათებზე დამუშავებული კარგი ხარისხის ფოტომონტაჟები, გაბარიტული ზომების და მასალის მითითებით, გაითვალისწინეთ ვინაიდან სარეკონსტრუქციო სამუშაოები ხორციელდება ქუჩის მხარეს გამომავალ ფასადზე, რომლის ფარგლებშიც განთავსებული ნებისმიერი ობიექტის არქიტექტურული გადაწყვეტა, ესთეტიკური თვალსაზრისით უნდა ხასიათდებოდეს მაღალი მხატვრული მონაცემებით საჭიროა საპროექტო კონდენციონერები შეიფუთოს თანამედროვე მასალებით შესრულებული თანამედროვე დიზაინის ფასადთან მისადაგებული არქიტექტურული ელემენტით.

აქვე გათვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.